RITUAL, IDENTITY, AND SOCIAL COHESION: AN INTERCULTURAL INTERPRETATION OF NOWRUZ AND BERIKAOBA

რიტუალი, იდენტობა და სოციალური ერთიანობა: ნოვრუზისა და ბერიკაობის კულტურათაშორისი ინტერპრეტაცია

TAMILA KOSHORIDZE
Doctor of Ethnology
Head of the S. Makalatia Gori Historical and Ethnographic Museum
Tamilakoshoridze11@gmail.com
+995 599 322433
https://orcid.org/0009-0009-0459-1796

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

ELVIRA ASLANOVA
Doctoral Student, Institute of Caucasiology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
19 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia
+995 599087211
elvira.aslanovi010@hum.tsu.edu.ge
http://orcid.org/0000-0003-2754-8386

Abstract

The vernal equinox represents one of the most significant cyclical moments in the cultural history of humankind. In various civilizations, this period has been associated with the renewal of nature, the rebirth of life, and the beginning of a new year. The Caucasian and Near Eastern cultural spaces are particularly rich in spring rituals. In this context, a comparative analysis of *Berikaoba* and *Nowruz* is of special importance, as two cultural practices of different origins but similar functions.

Due to its geopolitical location, Georgia has historically been a crossroads of peoples and cultures, resulting in demographic diversity, the synthesis of various cultural traditions, and a unique cultural identity. Ethnic and religious diversity constitutes a significant asset of the country. The study of centuries-long coexistence among different ethnic groups and their mutual cultural influences provides a solid foundation for both the government and society in managing civic integration within a multiethnic state.

One of the largest ethnic minorities in Georgia is the Azerbaijani population. Their settlement in Georgia dates back centuries. They are компактურად settled in Tbilisi, Kvemo Kartli, and Kakheti. According to statistical data, Azerbaijanis constitute approximately 7% of Georgia's population. Their migration and settlement history in Georgia has been distinctive, accompanied by a complex process of adaptation (Ethnic Groups in Georgia, 2008). Azerbaijanis living in Georgia have preserved their language, religion, and traditions. However, it should be noted that prolonged coexistence with Georgians has had a particular influence on their cultural, mental, and ethnographic characteristics.

Keywords: Spring Equinox, Berika, Nowruz, Cultural Identity, Dialogue of Cultures

თამილა კოშორიძე
ეთნოლოგიის დოქტორი
ს. მაკალათიას გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელი
Tamilakoshoridze11@gmail.com
+995 599 322433
https://orcid.org/0009-0009-0459-1796

დავით ჩოჩიშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ას. პროფესორი
გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

ელვირა ასლანოვა
დოქტორანტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილია ჭავჭავაძის გამზირი 19, თბილისი 0179, საქართველო
+995 599087211
elvira.aslanovi010@hum.tsu.edu.ge
http://orcid.org/0000-0003-2754-8386

აბსტრაქტი

სხვადასხვა ცივილიზაციაში გაზაფხულის ბუნიობას უკავშირებდნენ ბუნების განახლებას, სიცოცხლის აღორძინებას და ახალი წლის დასაწყისს. კავკასიური და ახლოაღმოსავლური კულტურული სივრცე განსაკუთრებულად მდიდარია გაზაფხულის რიტუალებით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ბერიკაობისა და ნოვრუზის შედარებითი ანალიზი, როგორც ორი განსხვავებული წარმოშობის, მაგრამ ფუნქციურად მსგავსი კულტურული პრაქტიკისა.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მუდმივად წარმოადგენდა ხალხთა და კულტურათა გადაკვეთის ადგილს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სიჭრელე,

მრავალფეროვან კულტურათა სინთეზი და უნიკალურობა. ეთნიკური და რელიგიური მრვალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. ეთნოსებს შორის თანაცხოვრების საუკუნოვანი გამოცდილების, კულტურათა ურთიერთგავლენის კვლევა-ძიება არის ჩვენი მრავალეთნიკური ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის სამოქალაქო ინტეგრაციის სწორად წარმართვის მყარი საფუძველი.

საქართველოში ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთეულს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. მათი საქართველოში დამკვიდრების ისტორია 2-3 საუკუნეს ითვლის. ისინი კომპაქტურად არიან დასახლებული თბილისში, ქვემო ქართლში, კახეთში. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში აზერბაიჯანელები მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენენ. მათ საქართველოში ჩამოსახლების თავისებური ისტორია და ადაპტაციის მეტად რთული გზა განვლეს (ეთნოსები საქართველოში, 2008). საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა შეინარჩუნეს ენა, რელიგია და ტრადიციები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებთან თანაცხოვრების ხანგრძლივმა პერიოდმა თავისებური გავლენა მოახდინა მათ კულტურულ, მენტალურ თუ ეთნოგრაფიულ მახასიათებლებზე.[1]

საკვანძო სიტყვები: გაზაფხულის ბუნიობა, ბერიკაობა, ნოვრუზი, კულტურული იდენტობა, კულტურათა დიალოგი

შესავალი

კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში გაზაფხულის ბუნიობა ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, გარდამტეხ და სიმბოლურ ციკლურ მომენტს. სხვადასხვა ცივილიზაციებსა და ეპოქებში ეს პერიოდი ტრადიციულად ასოცირდებოდა ბუნების საყოველთაო განახლებასთან, სიცოცხლის ხელახალ აღორძინებასთან, ზამთრის მკაცრი დღეების დასრულებასა და ახალი კალენდარული წლის საზეიმო დასაწყისთან. კავკასიური და ახლოაღმოსავლური კულტურული სივრცეები ისტორიულად განსაკუთრებულად მდიდარია გაზაფხულისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი რიტუალებით, ადათ-წესებითა და სახალხო დღესასწაულებით, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შემოინახეს ადამიანისა და ბუნების კავშირის უძველესი არქეტიპები. სწორედ ამ ფართო ეთნოკულტურულ კონტექსტში განსაკუთრებულ სამეცნიერო მნიშვნელობას იძენს ბერიკაობისა და ნოვრუზის სიღრმისეული შედარებითი ანალიზი. ეს არის ორი სხვადასხვა ისტორიული წარმოშობის, მაგრამ ფუნქციურად, სტრუქტურულად და შინაარსობრივად საოცრად მსგავსი კულტურული პრაქტიკა, რომელიც სეზონური ციკლის გარდატეხას ასახავს.

საქართველო, თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სტრატეგიული გზაჯვარედინის სტატუსის გამო, მუდმივად წარმოადგენდა სხვადასხვა ხალხების, რელიგიური მიმდინარეობებისა და დიდი ცივილიზაციების გადაკვეთის, თანაარსებობისა და კულტურათა დიალოგის სივრცეს. ამ ხანგრძლივმა ისტორიულმა პროცესმა განაპირობა

[1] საქართველოში აზერბაიჯანელებისა და ქართველების ინტეგრაცია ემყარება სამოქალაქო თანასწორობასა და ენობრივ-საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთო სამოქალაქო იდენტობის გაძლიერება, მიუხედავად არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ენობრივი გამოწვევებისა.

ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული სიჭრელე, მრავალფეროვან ტრადიციათა ორგანული სინთეზი და ორიგინალური კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება. ეთნიკური, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სიმდიდრესა და კულტურულ აქტივს წარმოადგენს. სხვადასხვა ეთნოსებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების საუკუნოვანი გამოცდილების, მათი ყოფითი კულტურათა ურთიერთგავლენისა და ტრადიციების კვლევა-ძიება არის მყარი საფუძველი მრავალეთნიკური სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების სწორად, ეფექტურად და ჰარმონიულად წარმართვისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთეულს სწორედ აზერბაიჯანული მოსახლეობა წარმოადგენს, რომელთა დამკვიდრებისა და ინტეგრაციის ისტორია ამ რეგიონში 2-3 საუკუნეს ითვლის. დღეისათვის ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი დედაქალაქ თბილისში, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აზერბაიჯანელები ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენენ. მათ განვლეს ჩამოსახლების თავისებური ისტორიული გზა და სოციალურ-კულტურული ადაპტაციის მეტად რთული, კომპლექსური ფაზები. საუკუნეების მანძილზე საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა წარმატებით შეინარჩუნეს მშობლიური ენა, რელიგიური აღმსარებლობა, ეროვნული თვითმყოფადობა და ძირითადი კულტურული ტრადიციები. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველებთან ხანგრძლივმა და ინტენსიურმა ყოფითმა თანაცხოვრებამ უდავოდ მოახდინა თავისებური, საინტერესო გავლენა მათ ეთნოგრაფიულ, მენტალურ და კულტურულ მახასიათებლებზე.

ნაშრომის ფარგლებში განხილული ორივე ფენომენი — ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი „ბერიკაობა“ და ახალი წლისა და გაზაფხულის დასაწყისის სიმბოლო „ნოვრუზი“ — თავისი არსით აგრარულ-მაგიური წარმოდგენებისა და ნაყოფიერების კულტის უძველეს ელემენტებს შეიცავს. კვლევა მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ როგორ ტრანსფორმირდა ბუნების ციკლურ განახლებასთან დაკავშირებული არქაული რიტუალები სოციალური ერთიანობის, კოლექტიური იდენტობისა და საზოგადოებრივი სოლიდარობის მექანიზმებად. ბერიკაობის ნიღბიანი წარმოდგენები და ნოვრუზის კოსმოგონიური ხასიათის ყოველკვირეული საწესჩვეულებო რიტუალები ემსახურებოდა ერთ მთავარ მიზანს — ქაოსური ზამთრის სიმძიმის დაძლევას და მოწესრიგებულ, ნაყოფიერ სამყაროში გადასვლას. ამგვარი კულტურული პარალელების იდენტიფიცირება ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას.

აღნიშნული საკითხების კომპლექსურად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებული კვლევის მეთოდები, მათ შორის შედარებით-ისტორიული, მიზეზობრივ-შედარებითი და სისტემური ანალიზი. ნაშრომი ეყრდნობა მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას, საარქივო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას. წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კავკასიის რეგიონში კულტურათაშორისი დიალოგის გააზრებასა და მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციის პოზიტიური გამოცდილების წარმოჩენაში.

მეთოდები. მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ისტორიულ მეთოდს, მიზეზობრივ-შედარებით ანალიზს, სინთეზს, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. ,,ბერიკაობა" წარმოადგენს ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრს. ტერმინი „ბერიკაობა" განაყოფიერებისა და განახლების სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს. სცენარები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა ბერიკული წარმოდგენები, საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, ახალი შინაარსით მდიდრდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათი კონკრეტული მოქმედებით განსახიერება და სიტყვიერი მასალით ხორცშესხმა მთლიანად ბერიკების ნიჭსა და უნარზე იყო დამოკიდებული[2].

ბერიკაობა არის საგაზაფხულო რიტუალი, რომელიც ძველ ქართულ კულტურაში დაკავშირებული იყო ნაყოფიერებასთან, სოფლის მეურნეობასთან და ბარაქასთან.[3] უფრო კონკრეტულად, ბერიკაობა-ყეენობა თავისი თავდაპირველი ბუნებით ნაყოფიერებისა და აღორძინებისადმი მიძღვნილი აგრარული დღესასწაულია, ის უძველესი ხალხური თეატრიცაა და ამ ხასიათის გამო დიდხანს შემორჩა საქართველოს ეთნოგრაფიულ სიმანდვილეს (რუხაძე 1966,5). დროთა ვითარებაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და მშრომელი ხალხის ცხოვრების, მისი მისწრაფებების გამომსახველად იქცა. ბერიკების მრავალი სიუჟეტი შეიცავს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის სურათებს, უსამართლო თავადების, ეკლესიის მსახურთა, მოსამართლეთა საქმიანობის მამხილებელ სცენებს. ჩვენამდე მოღწეულია ბერიკაობის 100-მდე სიუჟეტი. მათი უმეტესობა კომიკურია და ძირითადად შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. ბერიკაობა სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო (სადღესასწაულო). საგანგებოდ შერჩეულ მოედანზე იმართებოდა დიდი ბერიკაობა, რომელსაც ზოგჯერ ასამდე შემსრულებელი ჰყავდა. მისი ტრადიციული ნიღბები იყვნენ: მეფე (სასიძო), კეკელა (სარძლო), მაჭანკალი, გლეხი, თავადი, თათარი, მოსამართლე, ექიმი, ხუცესი, აგრეთვე ტახი, დათვი, თხა და სხვა ცხოველები. ,,ბუნების აღორძინების აღსანიშნავი დღესასწაულები მრავალი ხალხის ყოფაში გვხვდება და მის მთავარ

[2] ბერიკულ წარმოდგენებში შემონახულია განაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების სადიდებელი მისტერიის გადმონაშთი (მაგ. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. საბუეში, აგრეთვე ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. უდეში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში დღესაც სრულდება ოდესღაც ტახღვთაების გარდაცვალებასა და მის აღდგომა-გაცოცხლებასთან დაკავშირებული მისტერიის სცენები).

[3] მსგავსი თემატიკის დღესასწაული მსოფლიოს ბევრ კულტურაში არსებობს და ძირითადად დაკავშირებულია წელიწადის ციკლთან, ნაყოფიერებასთან და ახალი სიცოცხლის შემოსვლასთან. მაგ. სლავურ ხალხებში-რუსებში და უკრაინელებში არსებობს „Масленица"-გაზაფხულის, მზის და ნაყოფიერების აღნიშვნის რიტუალები, რომელშიც ხდება ცეცხლის ან მარილის გამოყენება ნაყოფიერების მოსაზიდად. სიმბოლურად წვავენ ხის ფიგურებს (ზამთრის სიმბოლო) გაზაფხულის მოსვლის ნიშნად. სკანდინავიური ხალხები-ნორვეგიელები და შვედები აღინიშნავდნენ ვესტერანას (Vespertina), კელტური ტომები დღესასწაულობდნენ ბელტეინს (Beltane), ბალკანეთი და ანატოლია-გაზაფხულის დღესასწაულები (მაგ., „ფოლკლორული მაზილი" ბულგარეთში) მოიცავდა სიმბოლურ მსხვერპლს და ცეცხლის რიტუალებს, როგორც ნაყოფიერების ატრიბუტებს.

მიზანს ნაყოფიერებისა და უხვმოსავლიანობის გამოთხოვა წარმოადგენდა. ბერიკაობა-ყეენობისთვის დამახასიათებელი სცენები: ქორწინების, სიკვდილის, დატირებისა და გაცოცხლების - მოკვდავ-აღდგენადი ღვთაების ბუნებას განასახიერებდა - ნაყოფიერების გამომსახველი პერსონაჟი, გაცოცხლების შემდეგ, ნაყოფიერების ძალას სამყაროს გადასცემდა“ (ცოცხალაშვილი, 2021, 336).

ზოგიერთი მკვლევარი ბერიკაობა-ყეენობას „ქართულ კარნავალს“ უწოდებდა, ვინაიდან ხალხმრავალი, სანახაობებით გამორჩეული დღესასწაული მრავალფეროვან ელემენტებს და რიტუალებს მოიცავდა და ყოველთვის დიდი ზარ-ზეიმით ტარდებოდა. ,,არაერთი ცნობა გვხდება ბერიკაობა-ყეენობის აღნიშვნის შესახებ XIX - XX საუკუნეების პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში და მნიშვნელოვან და საინტერესო დეტალებს გვაწვდის ყეენობის დღესასწაულის სახეცვლილების ანალიზისთვის“ (ცოცხალაშვილი, 2021, 337)[4].

ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულთან დაკავშირებით ფუნდამენტური ნაშრომი ეკუთვნის პროფესორ ჯ. რუხაძეს (რუხაძე, 1999). იგი ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარია, რომელმაც ბერიკაობის დღესასწაულს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და გააანალიზა, როგორც არქაული რიტუალური სისტემის ნაშთი. მის კვლევებში ბერიკაობა წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ხალხური გასართობი წარმოდგენა, არამედ როგორც მრავალშრიანი კულტურული ფენომენი, რომელიც აგრარულ-მაგიური წარმოდგენებისა და ნაყოფიერების კულტის ელემენტებს შეიცავს. მისი განმარტებით, ბერიკაობის ნიღბიანი პერსონაჟები და დრამატიზებული მოქმედებები სიმბოლურად ასახავს ბუნების ციკლურ განახლებას, სიცოცხლისა და სიკვდილის მონაცვლეობას და საზოგადოების კოლექტიურ მისწრაფებას განახლებისაკენ. მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნიღბის ფუნქციას, როგორც ტრანსფორმაციულ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი დროებით გადადის სხვა როლში და მონაწილეობს სიმბოლურ-რიტუალურ მოქმედებაში. ამგვარი გარდასახვა რუხაძის შეფასებით, უკავშირდება უძველეს წარმოდგენებს სამყაროს წესრიგის დროებითი დარღვევისა და შემდგომი აღდგენის შესახებ. ბერიკაობა, მისივე ხედვით, წარმოადგენს სინკრეტულ ფორმას, სადაც შერწყმულია წარმართული აგრარული კულტის შრეები და ქრისტიანული ეპოქის კულტურული გავლენები, რის შედეგადაც იგი ქართული ტრადიციული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რიტუალურ-თეატრალურ გამოვლინებად გვევლინება: ,,ბერიკაობა-ყეენობა მითიურ-რელიგიური შეხედულების პრაქტიკულ მოქმედებად გარდასახვას წარმოადგენს და ამგვარი გარდასახვის ყველაზე უფრო

[4] გაზაფხულის მომხმობი საგანგებო მასკარადი, საუკუნოვანი ტრადიცია ბერიკაობა, დღესდღეობით დასავლეთ კახეთის რამდენიმე სოფელშია შემორჩენილი. ზამთრის ბოლოს განსაკუთრებულ სამოსში გამოწყობილი ადამიანები აძევებენ სიცივეს და უღიმღამო ამინდს, რათა გაზაფხული და სიხარული დააბრუნონ დედამიწაზე. ამ ყველაფერს თან ახლავს ყვირილი, მათრახის ტყლაშუნი, ადამიანების ,,შეშინება“… სანაცვლოდ კი ფასი უნდა გადაიხადო ღვინით, საკვებით და ფულითაც კი. ყოველ შემთხვევაში, ასეა პატარა სოფელ დიდ ჩაილურში, სადაც მართლმადიდებლურ ტრადიციაში დიდი მარხვის წინა კვირის, ყველიერის, ბოლო კვირა დღეს აღინიშნება ბერიკაობა.

თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულის წარმტაცი და ამაღელვებელი სიუჟეტური ქარგის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ათასხუთასწლოვანმა ქრისტიანულმა ტრადიციამ, მასში მაინც ბევრი რამ შემორჩა წინარექრისტიანული შეხედულებებიდან (რუხაძე, 1999, 2). ,,ბერიკაობა-ყეენობა გამოირჩეოდა, როგორც მოვლენებისა და რეალიების მრავალფეროვნებითა და სიჭრელით, ისე დღესასწაულში მონაწილე ჯგუფების სოციალური მდგომარეობის სხვადასხვაობით“ (რუხაძე, 1999, 10).

მკვლევართა განმარტებით, ბერიკაობამ შეიძლება ანტიკური კულტების გავლენაც განიცადა: ,,ბერიკაობა ბერძნული დიონისეს, დემეტრასა და პერსეფონისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო დღესასწაულებიდან მომდინარედ მიიჩნევა“ (ბარბაქაძე, გოგოლაძე, 2025, 367). ბერიკაობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც მრავალშრიანი კულტურული ფენომენი, რომლის ფორმირებაზეც გავლენა იქონია ანტიკურმა საგაზაფხულო, ბუნების განახლებისადმი მიძღვნილმა საკულტო ტრადიციებმა, რაც მიუთითებს აგრარულ-საკულტო სიმბოლიკისა და სეზონური ციკლის თემატიკის შესაძლო ტრანსფორმაციაზე ქართულ ფოლკლორულ პრაქტიკაში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ბერიკაობის მსგავსი დღესასწაულები, სხვადასხვა ცხოველებად შენიღბულ პერსონაჟთა მონაწილეობით, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთსა და ელინურ სამყაროში: ასეთებია-მესოპოტამიური თამუზის და მითანიური იშთარის, ფინიკიური ადონისის და ასტარტას მრავალდღიანი მისტერიები (რუხაძე, 1966,16).

ბერიკაობის რიტუალები შენარჩუნდა იმ რეგიონშიც, სადაც ქართველების ძირძველი განსახლების ადგილები იყო. ,,მეოცე საუკუნის ბოლომდე ბერიკაობა-ყეენობის ადგილობრივი ფორმები გავრცელებული იყო ეთნიკური ქართველების ისტორიული განსახლების თითქმის მთელ ტერიტორიაზე. დღეს ეს მოიცავს ართვინისა და ნაწილობრივ არზრუმის რეგიონებს, სადაც ბევრ ქართულ დასახლებაში აღნიშნული რიტუალები კვლავ ცოცხალი ტრადიციის სახით არსებობს'' (გუჯეჯიანი, 2021, 128). ბერიკაობა-ყეენობის ტრადიციები ქართველებში იმდენად ღრმად იყო გამჯდარი, რომ ისტორიული განსახლების არეალს მიღმაც შეძლეს მისი შენარჩუნება და გადაცემა მომდევნო თაობებისთვის[5].

,,თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალით, ბერიკაობის წესი თურქეთის ქართველთა შორის ცალკე დღეობა არ არის. ის ნაწილია ძველით ახალი წლისა და მარიობის/შუამთობის დღესასწაულებისა. აღინიშნება ყველგან, სადაც კი ქართველები ჯერ კიდევ ზამთრობითაც ცხოვრობენ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ხალხურ კარნავალთა გავრცელების გეოგრაფიული არეალი თურქეთის ქართველთა შორის საკმაოდ ვრცელია და ტაო-

[5] ბერიკები უსულო საგნებს და განყენებულ ცნებებსაც განასახიერებდნენ (მაგ., ალავერდის ტაძარი, საბძელი, ხე, უკუღმართი ცხოვრება, ავსიტყვაობა და სხვა). ისინი თამაშობდნენ ნაბადქუდა ნიღბებში, „ისხდნენ“ ტახის, დათვის, თხის, ხარის და სხვა „ტყავში“ (ბერიკოში). დიდ ბერიკაობაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ (ქალებისა და მოზარდების ბერიკაობა ცალკე იმართებოდა). წარმოდგენა იწყებოდა მტრის მიერ სოფლის აწიოკებისა და ხარკის აკრეფის წარმოსახვით, რასაც თან ახლდა სიმღერა და მუსიკა. ბერიკაობას ხელმძღვანელობდა ბერიკათწინამძღვარი. საქართველოში ცნობილი ბერიკები იყვნენ XVIII საუკუნეში ოთარ ნორიოელი და ოიანა-ბუიანა, XIX საუკუნის I ნახევარში-აბელ რევაზიშვილი. XX საუკუნეში ბერიკები თბილისშიც გამოჩნდნენ

კლარჯული ბერიკაობის ერთი ვარიანტი, რომელიც იმართება ზაფხულობით „შუამთობის“/„მარიობის“ დღეობაზე, სცილდება ტაო-კლარჯეთის ტერიტორიას და აღინიშნება მისგან დიდი მანძილით დაცილებულ მხარეშიც –მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველებით დასახლებულ რამდენიმე რაიონსა და სოფელში'' (გუჯეჯიანი, 2021, 129).

ნოვრუზის დღესასწაული (نوروز -სპარსულად, აზერბაიჯანულად-Novruz) -ახალი წლისა და გაზაფხულის დასაწყისის სიმბოლოა, რომელიც ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობას. ამ დღეს დღე და ღამე თანაბრდება. ეს მოვლენა დაკავშირებულია დედამიწის წლიურ მოძრაობასთან. სწორედ ამიტომ, 21 მარტს ეკლიპტიკისა და ეკვატორის გადაკვეთით დგინდება გაზაფხულის თანაბრობის წერტილი. ეს არის ასტრონომიული გაზაფხულის დასაწყისი. აზერბაიჯანში ნოვრუზი არა მხოლოდ ბუნების დღესასწაულია, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურისა და ერთობის სიმბოლოცაა.

ძველი ისტორიისა და მდიდარი კულტურის მქონე აზერბაიჯანელი ხალხის სულიერ-კულტურულ ფასეულობებს შორის ნოვრუზს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს უძველეს ტრადიციათა ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ პრიმიტიული სამყაროს მსოფლიო აღქმისა და არქაული მითოლოგიური წარმოდგენებიდან იღებს სათავეს (Əliyev, 2005). გაზაფხულის შესახვედრად შექმნილი ადათ-წესები საუკუნეთა განმავლობაში კულტურულად გამდიდრდა და საბოლოოდ გადაიქცა ფართო მასშტაბის ხალხურ დღესასწაულად - ნოვრუზად.

ნოვრუზი არ შემოიფარგლება რამდენიმე დღით, ის წარმოადგენს მთელი სეზონისა და რთული ზამთრის შემდგომ ბუნებისა და ცხოვრების აღორძინების პროცესს. ადამიანის სურვილი, გათავისუფლდეს ზამთრის სიძნელეებისაგან: სიცივისგან, შიმშილისგან, სიბნელისგან და მიეგებოს სინათლეს, სითბოსა და სიუხვეს, განაპირობებდა ამ რთული და მრავალშრიანი რიტუალის ჩამოყალიბებას (Rzayev, 2010).

ნოვრუზის ფესვები ათასწლეულების სიღრმეში მიდის და დაკავშირებულია ძველაღმოსავლურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ირანულ (სპარსულ) და ზოროასტრიზმის კულტურებთან. ისტორიული წყაროების მიხედვით, ნოვრუზი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე VI–V საუკუნეებში აღინიშნებოდა. (Əl Biruni, "Asar al-baqiya ‘an al-qurun al-xaliya”, 242)[6].

შუა საუკუნეების მრავალი ცნობილი მოაზროვნეები: ფირდოუსი („შაჰნამე“), ომარ ხაიამი („ნოვრუზნამე“), აბურეიჰან ბერუნი და თაბარი აღნიშნავდნენ, რომ ნოვრუზი უკავშირდება მითოლოგიურ მეფე ჯემშიდს. ლეგენდის თანახმად, სწორედ ჯემშიდმა დაამარცხა ბოროტი ზოჰაკი და როცა მეფის ტახტზე დაჯდა, მზე ამოვიდა და მისმა ძვირფასი ქვებით მორთულმა გვირგვინმა ისე ძლიერ იელვა, რომ ხალხმა თქვა: „ეს დღე ახალია!“ -და მას შემდეგ ნოვრუზი „ახალი დღის“ სახელით აღინიშნება.

[6] Asar al-baqiya ‘an al-qurun al-xaliya - ქართ. „წარსული თაობებიდან შემორჩენილი ძეგლები (მემკვიდრეობა). ალ-ბირუნი ამ ნაშრომში ადარებს სხვადასხვა კულტურას - ირანულს, ინდურს, ბერძნულს და სხვას - და გვიჩვენებს, როგორ ჩამოყალიბდა მათი კალენდრები და დღესასწაულები.

ნოვრუზი პირველად აიკრძალა VII საუკუნეში, როდესაც ადარბადაგანის ტერიტორია არაბთა ხალიფატის მმართველობის ქვეშ მოექცა.[7] თუმცა მისი ფესვები იმდენად ღრმა და ძლიერი აღმოჩნდა, რომ მუსლიმური ქვეყნებისთვის იქცა არა მხოლოდ გაზაფხულის ბუნებრივი ციკლისა და ახალი წლის დასაწყისის სიმბოლოდ, არამედ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობად, რომელიც რელიგიურ საზღვრებს სცდება. მიუხედავად იმისა, რომ მისი წარმოშობა წინაისლამურ ეპოქას, განსაკუთრებით ზოროასტრიზმის ტრადიციას უკავშირდება, ნოვრუზმა ისლამურ სამყაროში მიიღო სოციალური და ეთნოკულტურული დღესასწაულის სახე. იგი განასახიერებს განახლებას, მშვიდობას, ოჯახურ ერთობასა და საზოგადოებრივ სოლიდარობას, რის გამოც მრავალ მუსლიმურ ქვეყანაში აღინიშნება როგორც ეროვნული და კულტურული დღესასწაული და არა რელიგიური რიტუალი.

XIX საუკუნეში ,,თბილისელი მუსლიმები (აზერბაიჯანელები და სპარსელები) რეგულარულად აღნიშნავდნენ ახალი წლის დღესასწაულს-ნოვრუზს. სპარსეთის ქვეშევრდომი მუსლიმები იყოფოდნენ ორ ჯგუფად, იკრიბებოდნენ თათრის მოედანზე და იქიდან მუსიკის თანხლებით და ყვავილებით მიემართებოდნენ სპარსეთის გენერალური საკონსულოსკენ მისალოცად. 10.30 საათზე გამოდიოდა კონსული საზეიმო ფორმაში წევრების თანხლებით, ულოცავდა შეკრებილთ და უმასპინძლდებოდა შერბეთით... საღამოს საკონსულოში იმართებოდა დასთარხანა[8]“ (გელოვანი, 2012, 407). მოგვიანებით ნოვრუზის აკრძალვა ბოლშევიკებმა სცადეს. ეს აკრძალვა თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაგრძელდა. შემდგომში ნოვრუზის წინააღმდეგ ბრძოლა ავღანელმა თალიბებმაც სცადეს, თუმცა ამაოდ. ამ თარიღთან ზედმეტად ბევრი რამაა დაკავშირებული-გაზაფხულის მოსვლა, ბუნების გაღვიძება, პირველი ხვნის დღესასწაული…ამ საერთო საკაცობრიო ტრადიციების წინააღმდეგ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა უძლური აღმოჩნდა. 1991 წლიდან დამოუკიდებელ აზერბაიჯანში ნოვრუზი სახელმწიფო დღესასწაული გახდა. 2009 წელს UNESCO-მ ნოვრუზი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა, ხოლო 2010 წელს გაერომ 21 მარტი ნოვრუზის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

შუასაუკუნეების საქართველოში ნოვრუზი აღწერილია შოთა რუსთაველის პოემაში ,,ვეფხისტყაოსანი”, სადაც დღესასწაულის პათოსი შენარჩუნებულია და სიცოცხლის აღდგენა-განახლებას უკავშირდება:

,,ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა,
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა,
ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმვასა ლამაზობასა,

[7] ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ ბერიკაობა-ყეენობაც, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული სახალხო პატრიოტული სანახაობა რუსეთის მეფის მთავრობამ აკრძალა, თუმცა უფრო მოგვიანებით. მაგ: 1894 წ. თბილისში, ხოლო 1896 წ გორში.

[8] დასთარხანი (აზერბაიჯანულად: *dəstərxan*, სპარსულად: *dastarkhān*) ნიშნავს სუფრას ან სუფრის გაშლილ ქსოვილს, რომელზეც იშლება საკვები. აზერბაიჯანულ, შუაზიურ და ირანულ კულტურაში დასთარხანის გაშლა წარმოადგენს პატივისცემის გამოხატვას სტუმრისადმი და მნიშვნელოვან რიტუალურ ელემენტს დღესასწაულებისა და საზეიმო შეკრებების დროს.

დიდსა შეიქმენ მეფენი, პურობა დარბაზობასა”-ამ დღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია საყოველთაო ჩართულობა, მოქალაქეები, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა ერთვებიან საერთო სადღესასწაულო პროცესში, ერთმანეთს ჩუქნიან საჩუქრებს, მართავენ ნადიმებს, მონაწილეობენ დარბაზობასა და პურობაში, რაც ხაზს უსვამს სოციალურ ერთობასა და კეთილგანწყობას. სამეფო კარი კი ამ პროცესში ცენტრალურ როლს ასრულებს, რადგან მეფე, როგორც პოლიტიკური და სიმბოლური ფიგურა, უზრუნველყოფს ზეიმის ორგანიზებას და ამ გზით გამოხატავს ქვეშევრდომთა ერთიანობას. ეს ყველაფერი სიმბოლურად უკავშირდება სიცოცხლის განახლებასა და ჰარმონიას. ნოვრუზი „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილია არა მხოლოდ როგორც კალენდარული დღესასწაული, არამედ როგორც მრავალმხრივი სოციალური და კულტურული ფენომენი, რომელიც აერთიანებს საზოგადოებას, ამყარებს ტრადიციებს და გამოხატავს განახლების იდეას.

როგორც ნ. გელოვანი აღნიშნავს, ,,....ნოვრუზი საერთო ისლამური ხასიათისაა, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში და თბილისშიც მან თავისებური ელფერი მიიღო და საუკუნეთა მანძილზე ყოფით ტრადიციად იქცა'' (გელოვანი, 2021, 408). აზერბაიჯანელთა აღქმაში წლის დროების მონაცვლეობა კოსმოგონიურ პროცესებად აღიქმებოდა. ზამთარი მათ წარმოდგენაში რთული პერიოდი იყო, რომელიც ასოცირდებოდა ცხოვრების ბნელ შტრიხებთან, ტანჯვასთან, სიცივესთან და სიღარიბესთან. სწორედ ამიტომ გავრცელდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა “Qara qış” („შავი ზამთარი“), “Böyük çilə” („დიდი ჩილე“) და “Kiçik çilə” („პატარა ჩილე“), სადაც სიტყვა “çilə” („ჩილე“) განსაზღვრავდა ტანჯვასა და სიძნელეს (Ismayilov, 2012).

ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებული გამოთქმები “Çiləni atmaq” („ჩილეს გადაყრა“), “Çiləninbitməsi” („ჩილეს დამთავრება“), “Çiləd ən çıxmaq” („ჩილედან გამოსვლა“) ასახავს სურვილს, ადამიანები გათავისუფლდნენ ზამთრის სიმძიმისგან და მიეგებონ გაზაფხულის სითბოს. აზერბაიჯანელი ხალხური დღესასწაული ტრადიციულად იყოფა ორ ნაწილად - „დიდი ჩილე“, რომელიც გრძელდება 40 დღე; წლის ყველაზე გრძელი ღამეებით იწყება 20 დეკემბერს და გრძელდება 30 იანვრამდე. „პატარა ჩილე“ კი - 20 დღეს მოიცავს (1- 20 თებერვალი) - ადრეული აგრარულ-რიტუალური დაკვირვების შედეგია (Rashidov, 2008). ჩილეს მოსდევს “Boz ay-ს” („ნაცრისფერი, მოღრუბლული თვე“, რაც ზამთრის მრუმე ბუნებას უკავშირდება), რომელიც თებერვლის ბოლო ათ და მარტის პირველ ოც დღეს ემთხვევა. მართლაც, Boz ay-ს პერიოდში ხან გაზაფხულივით თბილი დღეებია, ხან ზაფხულივით ცხელი, ხან კი შემოდგომასავით მოღრუბლული, ან ზამთარივით ცივი ამინდებია.

ნოვრუზის ადათ-წესებსა და რიტუალებს თუ ეტაპობრივად დავაკვირდებით, აშკარად ჩანს, რომ ოთხი “doğruçu çərşənbə“ („ნამდვილი სამშაბათისა“) და სამი „yalançı çərşənbə“ ან “oğru çərşənbə”[9] („ყალბი“, „მატყუარა“ სამშაბათი) სამშაბათი ქმნის დღესასწაულის განუყოფელ

[9] როგორც სახელიც ცხადყოფს, yalançı „ყალბი“, უწოდებენ მას იმიტომ, რომ ამ დღეს მოსვლა მართალია//სწორია, თუმცა მაინც სიცხე (მომასწავლებელი სასიხარულო მოვლენა), რომელიც მოაქვს, ჯერ კიდევ სრულად არ არის სრულფასოვანი. ამ დღეს მრავალრიცხოვანი რიტუალები არ ტარდება, სახლებში სპეციალური სუფრა არ იშლება. ფოლკლორისტების მიხედვით, ძველად ტარდებოდა 7 სამშაბათი, რომელთაგან 3 იყო „ყალბი“ (oğru), ხოლო 4 - „ნამდვილი“ (doğruçu).

ნაწილს. „ნამდვილი სამშაბათი“ მოდის „ყალბი“ სამშაბათის შემდეგ და განასახიერებს ბუნების ნამდვილ გამოღვიძებას. საერთო ჯამში გამოიყოფა ოთხი „ნამდვილი სამშაბათი“: წყლის, ცეცხლის, ქარისა და მიწის სამშაბათები. ზუსტად ცრუ სამშაბათი საფუძველს ამზადებს ნამდვილი სამშაბათის დადგომისთვის.

ხალხური რწმენის მიხედვით, ეს სამშაბათები თითქოს წინასწარ ამზადებენ ნოვრუზის დიდ დღესასწაულს. Boz ay-ის („ბოზ აის“) განსაკუთრებულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ პერიოდში შეიძლება აღინიშნოს ყველა სეზონისთვის დამახასიათებელი ამინდის ნაირსახეობა - ზამთრის სიცივე, გაზაფხულის დათბობა, ზაფხულის სითბო და შემოდგომის ნისლიანი დღეები. თითოეულს თავისი ადათ-წესები და რიტუალები აქვს. კვლევებიც აჩვენებს, რომ ხალხის მიერ შესრულებული ყველა რიტუალი და ცერემონია მიმართული იყო იმისკენ, რომ ზამთარი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო. აზერბაიჯანელები ამ რიტუალების საშუალებით ექვსი სამშაბათის განმავლობაში ემზადებიან და საბოლოოდ, მეშვიდე სამშაბათს - ბოლო სამშაბათს, ერთად იკრიბებიან, აცილებენ ზამთარს და ერთობლივად ზეიმობენ ახალ წელს - ანუ გაზაფხულის პირველ დღეს.

რწმენის მიხედვით, ცრუ სამშაბათები ადამიანებს ატყობინებს, რომ ქაოსური სამყაროდან მოწესრიგებულ სამყაროში გადასვლის დრო ახლოვდება. ეს ასევე ისეთი დროის მონაკვეთია, როდესაც მკაცრი ზამთრის დაწყებიდან უკვე დაახლოებით ორმოცი დღეა გასული. ხალხური წარმოდგენით, პატარა ჩილეს შუა პერიოდში ანუ ნოვრუზის პირველი მახარობლის - Xıdır Nəbi-ს (ხიდირ ნების) მოსვლასთან ერთად, ბუნება ნელ-ნელა იწყებს გამოღვიძებას. ხიდირ ნაბის მოსვლა საქართველოში დღესაც შენარჩუნებულია, ჩვენი ცნობით, დმანისსა და სადახლოში.

ხალხი ასრულებს ცრუ სამშაბათის რიტუალებს. ბუნების წესრიგის აღმდგენ ნამდვილ სამშაბათებთან დაკავშირებული მხიარულებისა და საზეიმო ატმოსფეროსგან განსხვავებით, ცრუ სამშაბათი შედარებით მშვიდად აღინიშნება. კერძოდ, იმ სახლებში, სადაც ცრუ სამშაბათი აღინიშნება, მზის ჩასვლისას ეზოებში ანთებენ შედარებით პატარა კოცონებს - ჩალისა და თივის გამოყენებით. ცრუ სამშაბათს, სხვა სამშაბათებისგან განსხვავებით, მრავალი რიტუალი არ ტარდება და არც სპეციალური სუფრა იშლება. ხოლო საქართველოში, დმანისსა და სადახლოში (როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული), Xıdır Nəbi-ს (ხიდირ ნების) პატივსაცემად მამალს სწირავენ და მოხალული ხორბლისაგან ამზადებენ სპეციალურ ტკბილეულს - qovud-ს (გოვუდ).

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ცრუ სამშაბათი ,,მატყუარა“ ხასიათისაა - ხალხი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს მის სითბოს ბუნებაში, საკუთარ სახლებში და ეზოებში. ერთი სიტყვით, ცრუ სამშაბათი სრულად ატარებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მის სახელშია ჩადებული და ქმნის შესაბამის წარმოდგენას.

წყაროების მიხედვით და დღემდე მოღწეულ ხალხურ ტრადიციებში ნოვრუზთან დაკავშირებული ოთხშაბათები შემდეგი თანმიმდევრობით აღინიშნება (Azərbaycanın xalq bayramı Novruz; 2011, გვ. 42):

პირველი სამშაბათი - Əzəl çərşənbə - (აზალ ჩერშენბე) ხალხში ეს დღე ასევე ცნობილია როგორც „Yalançı çərşənbə“ („ყალბი სამშაბათი“), “Gözəl çərşənbə“ („ლამაზი სამშაბათი“), “Gül çərşənbə“ („ყვავილების სამშაბათი“) ან „Sular Novruzu“ („წყლების ნოვრუზი").

ცრუ სამშაბათი - Yalançı çərşənbə (oğru çərşənbə) - ეს არის სიმბოლური დღე და მიიჩნევა გაზაფხულის პირველ მაუწყებლად და მოსამზადებელ ეტაპად. მიუხედავად იმისა, რომ მას „ყალბი“, „ცრუ“ ეწოდება, მისი დადგომა ნამდვილ მოვლენად ითვლება. ამ დღეს, როგორც წესი, ეზოებში ანთებენ შედარებით მცირე კოცონებს, თუმცა იგი ისეთი ზეიმით არ აღინიშნება, როგორც ძირითადი სამშაბათები.

მაცნე სამშაბათი - Xəbər çərşənbəsi - ჩვეულებრივ გამოიყენება ნოვრუზის დღესასწაულამდე აღნიშნული „ყალბი სამშაბათის“ აღსანიშნავად. ეს სამშაბათი მიანიშნებს, რომ ბუნება ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოღვიძებული, თუმცა უკვე გაზაფხულზე დგას და ზამთრის დრო იწურება. მიუხედავად იმისა, რომ ნოვრუზამდე არსებული ოთხივე სამშაბათი (წყლის, ცეცხლის, ქარისა და მიწის) ასრულებს მაუწყებლის ფუნქციას, განსაკუთრებით წყლის სამშაბათამდე ან პირველი ნამდვილი სამშაბათის წინ ამინდის ცვლილება და ბუნების გამოღვიძება აღიქმება როგორც „მაუწყებელი/მაცნე“.

წყლის სამშაბათი - Su çərşənbəsi - ნოვრუზის დღესასწაულის ოთხი სამშაბათიდან პირველია, რომელიც წყლის თაყვანისცემის რწმენასთან არის დაკავშირებული და წყლის განახლებასა და განწმენდას სიმბოლურად გამოხატავს. ამ დღეს წყალს ეფიცებიან, ადამიანები მიდიან წყაროსთან და „təzə su“ („ახალ წყალს“) ეთაყვანებიან. ხალხური რწმენით, ამგვარად ავადმყოფობა და ყოველგვარი სენი წყალს მიაქვს და ქრება.

ცეცხლის სამშაბათი - Od çərşənbəsi - ნოვრუზის დღესასწაულის ოთხი ნამდვილი სამშაბათიდან მეორეა და ასახავს ძველი ადამიანების რწმენას მზისა და ცეცხლის მიმართ. იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც ამცნობს ზამთრის დასრულებას და გაზაფხულის სითბოს მოსვლას. ამ დღეს ანთებენ კოცონებს, რითაც გამოხატავენ სულიერ განწმენდას, კეთილდღეობას და ნათელი მომავლის იმედს.

ქარის სამშაბათი - Yel çərşənbəsi - (ან „ქარის გაღვიძება“) ნოვრუზის მესამე ნამდვილი სამშაბათია და სიმბოლურად ასახავს ჰაერისა და ქარის გაღვიძებას, გაზაფხულის მოსვლას. მითოლოგიური რწმენით, ამ დღეს „Yel baba“ („პაპა ქარი“) უკვე გაღვიძებული წყლითა და ცეცხლის (წინა ორი ნამდვილი სამშაბათი) დახმარებით ბუნებას ააქტიურებს და მსოფლიოს შემოვლით გაზაფხულის მოსვლისთვის ამზადებს. ქარის სამშაბათი ხალხში ცნობილია როგორც „ქარიანი სამშაბათი“. ქარის სამშაბათი აღნიშნავს გაზაფხულის მოსვლას და ჰაერის გათბობას.

მიწის სამშაბათი - Torpaq çərşənbəsi - მიწის სამშაბათი ან ბოლო სამშაბათი - ნოვრუზის დღესასწაულის ბოლო, მეოთხე სამშაბათია. ხალხში მას ხშირად „İlaxır çərşənbə-ს“ („წლის ბოლო სამშაბათი“) უწოდებენ. ეს სამშაბათი მიუთითებს იმაზე, რომ გაზაფხულის მოსვლამდე ცოტა დრო დარჩა. ბოლო სამშაბათი, რომელიც „მიწის სამშაბათად“ ითვლება, ნოვრუზის დღესასწაულს უფრო ახლოს იმყოფება და ამიტომ ადამიანები მას განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

წლის ბოლო სამშაბათი ასევე წლის ანგარიშის პერიოდად ითვლებოდა. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად იწყება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონი, სოფლებში მიდის თესვა. ზუსტად ამ დღეს ახალგაზრდები მკითხაობენ საკუთარ ბედზე და ერთობიან, დამდურებული ადამიანები რიგდებიან. ეს დღე სიმბოლურად აღნიშნავს გაზაფხულის გამარჯვებას, ცხოვრების აღორძინებას, სურვილებისა და იმედების განახლებას. ადამიანები მომავალს იმედით უყურებენ და ახალი წლის სურვილებსა და ოცნებებს ბუნების ძალასთან აკავშირებენ.

პირველი სამი სამშაბათი (პირველი სამშაბათი, ცრუ სამშაბათი, მაცნე სამშაბათი) ნაკლებად აღინიშნება, ამიტომ ზოგჯერ მათ „ცრუ სამშაბათებს“ უწოდებენ, რომლებიც ზამთრის დასასრულს ემთხვევა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნოვრუზამდე ოთხი კვირით ადრე აღინიშნება ე.წ. ოთხი სამშაბათი (çərşənbə), რომლებიც ბუნების ოთხ სტიქიას - წყალს, ცეცხლს, მიწას და ქარს უკავშირდება, რომლებიც უკვე გაზაფხულის სუნთქვას აღნიშნავენ (Jafarov, 2011). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოთხი სამშაბათი „მართალ სამშაბათებად“ (Doğru çərşənbələr) ითვლება. ამ დროს ბუნება თანდათან იღვიძებს:

1. წყლის სამშაბათი (Su çərşənbəsi) – ძველი რწმენა-წარმოდგენების თანახმად, სამყარო ოთხი ელემენტისგან (წყალი, ცეცხლი, ქარი, მიწა) შეიქმნა და სიცოცხლის საფუძველი წყალია. მიჩნეულია, რომ წყლის სამშაბათს წყალი განახლდება, იწმინდება და „უკვდავების წყლად“ იქცევა. ამ პერიოდში თოვლი დნობას იწყებს, მდინარეებში წყლის დონე იმატებს, ნიადაგი ტენიანდება და გამოცოცხლებისთვის ემზადება.

2. ცეცხლის სამშაბათი (Od çərşənbəsi) – აზერბაიჯანული მითოლოგიისა და ხალხური წარმოდგენების თანახმად, ეს ,,ჩარშანბა” (სამშაბათი) ზამთრის დასასრულსა და ბუნების გამოღვიძება-გათბობის სიმბოლოა. ამ დროს ინთება ტრადიციული კოცონები, რომელთა გარშემო ახალგაზრდები სხვადასხვა რიტუალს ასრულებენ.

3. ქარის სამშაბათი (Yel çərşənbəsi) – ქარი, რომელიც ბუნებას აცოცხლებს, გაზაფხულის ენერგიას იკრებს და ახალი სიცოცხლე მოაქვს. ქარის ძალა დაკავშირებულია ბუნების გამოღვიძებასთან და მოძრაობასთან.

4. მიწის სამშაბათი (Torpaq çərşənbəsi) – მიწის „გაღვიძება“, ბალახისა და ყვავილების ამოსვლა, ნაყოფიერების სიმბოლო. სხვანაირად მას İlaxır çərşənbə უწოდებენ („წლის ბოლო სამშაბათი“), ანუ დიდი სამშაბათი, როდესაც ცოცხალი არსებები იღვიძებენ, სისხლი მოძრაობას იწყებს და სამყარო აღორძინდება. ეს სამშაბათი არის „ნამდვილი“ სამშაბათებიდან უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი. ზუსტად ამ დღეს და არა 20-21 მარტს, კახეთისა (საგარეჯო) და მარნეულის (სადახლოს) მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ ნოვრუზს.

ნოვრუზის მთავარ ელემენტად გვევლინება ცეცხლი, როგორც სინათლისა და სიცოცხლის სიმბოლო[10]. ყველა სამშაბათსა და ნოვრუზის ღამეს ხალხი ანთებს კოცონებს, რომლებსაც გადაახტებიან სიტყვებით: "Qırmızı od, sənə sarılığımı verirəm, sən mənə gözəllik

[10] ცეცხლი ზოროასტრიზმში წარმოადგენს სიწმინდის, ჭეშმარიტებისა და ღვთიური სინათლის სიმბოლოს. იგი ასოცირდება აჰურა მაზდასთან და განასახიერებს სულიერ სისუფთავესა და კოსმიურ წესრიგს.

(qırmızılıq) ver!" („წითელო ცეცხლო, მე მოგცემ ჩემს უბედურებებს, შენ მომეცი სილამაზე!“); “Ağırlığım, uğursuzluğum bu odda yansın!” („ჩემი სიმძიმე და უბედურება ამ ცეცხლში დაიფერფლოს (დაიწვას)!“) და ა.შ. ეს ადათ-წესი დაკავშირებულია უძველეს მზის კულტთან, რომლის მიხედვითაც ცეცხლი განდევნის ბნელ ძალებს, ავადმყოფობას და ზამთრის სიბნელეს. კოცონზე გადახტომა განწმენდისა და აღორძინების სიმბოლური აქტი იყო (ცეცხლის რიტუალურად დანთება და კოცონზე გადახტომა უცხო არ არის ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის, მხოლოდ გაზაფხულის სხვა აგრარულ დღესასწაულის დროს: ვნების კვირის ოთხშაბათს ქართლის მოსახლეობა აღნიშნავს „ჭიაკოკონობას“, რომელიც ასევე მოიცავს ნოვრუზის მსგავს ქმედებებს)..

ნოვრუზის მთავარი სიმბოლოა „Səməni” (სამანი) - ჯეჯილი, რომელიც სიცოცხლისა და გამრავლების ნიშანია. სადღესასწაულო სუფრაზე ხშირად გვხვდება:

- სარკე- ბედნიერებისა და სინათლის სიმბოლო,
- სანთელი-სინათლისა და სიცოცხლის ნიშანი,
- შეღებილი კვერცხები-სიცოცხლის ციკლის, დაბადებისა და განახლების სიმბოლო
- ტკბილეული და თხილი-ნაყოფიერების და ბარაქის ნიშნად.

ნოვრუზის სუფრა განსაკუთრებულად არის სიმბოლიზირებული: მასზე უნდა განთავსდეს შვიდი სახეობის საკვები, რომლებიც იწყება „s“ („ს“) ასოთი (su („წყალი“), süd („რძე“), səməni („ჯეჯილი“), səbzə („მწვანილი“), sumaq („სუმახი“) და სხვ.). ეს რიცხვი ასოცირდება საკრალურ „შვიდიანთან“ - ბედნიერებისა და სიუხვის რიცხვთან. წარსულში ზოროასტრიზმის ეპოქაში ამავე წესს ემორჩილებოდნენ, ოღონდ პროდუქტები იწყებოდა ასოთი „ş” („შ“) (şəkər (“შაქარი”), şam (“სანთელი”), şərbət (“შერბეთი”) და სხვ.), ხოლო მოგვიანებით ისლამურ ეპოქაში შეიცვალა „ს“-თ. 21 მარტს ოჯახის წევრები იკრიბებიან სადღესასწაულო სუფრასთან, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს „ხონჩა“. მასზე დევს ტკბილეული, სიმბოლური ნივთები და რაც მთავარია - წითელ ლენტიანი სამანი (ჯეჯილი).
ნოვრუზის სამი ძირითადი ტკბილეული, რომლებსაც სიმბოლური დატვირთვაც აქვთ:

- **შაქარბურა (Şəkərbura)** - თავისი ნახევარმთვარის ფორმითა და მასზე დატანილი ორნამენტებით მთვარეს განასახიერებს.
- **ფახლავა (Paxlava)** - მისი რომბისებური ფორმა ვარსკვლავის სიმბოლოა, ხოლო მისი შრეები სამყაროს წყობასა და დროის დინებას აღნიშნავს.
- **გოღალი (Şor qoğal)** - მრგვალი, ყვითელი და ფენოვანი ნამცხვარი მზის სიმბოლოა, რომელიც გაზაფხულის სითბოსა და სინათლეს მოასწავებს.

ეს სამეული ნოვრუზის მთავარი კულინარიული სიმბოლოა, რომლებიც ბუნების ელემენტებისა და ციური სხეულების ერთიანობას გამოხატავს.

ამ ტკბილეულებთან ერთად საქართველოში ასევე მზადდება ბადამბურა **(Badambura)** ნოვრუზის სუფრის კიდევ ერთი გამორჩეული და ულამაზესი ტკბილეული. ის განასახიერებს ბუნების გამოღვიძებასა და აყვავებას. მისი მრავალშრიანი ცომი და ნუშის შიგთავსი გაზაფხულის სიხალისისა და სიმდიდრის სიმბოლოა.

ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრის ნამდვილი "გვირგვინი" და მთავარი კერძი არის ფლავი (Plov) და ხორცი. აზერბაიჯანულ კულინარიაში ფლავი სიმდიდრის,

სტუმართმოყვარეობისა და ოჯახური ერთობის სიმბოლოა. ითვლება, რომ რაც უფრო გემრიელი და მდიდრული იქნება ის, მით უფრო ბარაქიანი წელი ელოდება ოჯახს.

ნოვრუზი შერიგების დღესასწაულია. აზერბაიჯანელები, ძირითადად 22 მარტს, სტუმრობენ ნათესავებს, მეზობლებს, ჩუქნიან ერთმანეთს ტკბილეულს და ივიწყებენ წყენას.

საქართველოს აზერბაიჯანელები განსაკუთრებით აღნიშნავენ ყოველი წლის 22 მარტს მარნეულის რაიონის სოფელ ჯანდარაში მდებარე უძველესი ჭადრის ხესთან (Çinar). ამ ხის ზუსტი ისტორია და ასაკი არავინ იცის, თუმცა ადგილობრივებისთვის ის უძველესი დროიდანვე წმინდა ადგილად ითვლება. ხე სიცოცხლისა და ბუნების განახლების სიმბოლოა. ,,ჩინარის“ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და რწმენის სიმბოლო. ხალხი ამ ადგილას იკრიბება, რათა პატივი სცეს ტრადიციებს, ჩაიფიქროს სურვილები და იზეიმოს გაზაფხულის მობრძანება. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის ეს ადგილი მადლიან და საკრალურ პუნქტად მიიჩნევა, რის გამოც აქ მომლოცველები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოედინებიან. აქ დამკვიდრებულია ძველი ტრადიციები: ზოგი მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებს, ზოგი კი, სანატრელი სურვილის ასრულების იმედით, ხეებზე სიმბოლურ ფერად საკიდებს (ნაჭრებს) აბამს (ნატვრისხე), უმასპინძლდებიან სტუმრებს, ამზადებენ ქაბაბს, მწვადს და სხვა კერძებს. ეს ადგილი ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია.

გარდა ამისა, ნოვრუზის დღესასწაულზე ტარდება სახალისო წარმოდგენები, სადაც მონაწილეობენ Keçəl (ქაჩალი - „მელოტი“) და Kosa (ქოსა - უბეწვო) - ფოლკლორული გმირები, რომლებიც ზამთრისა და გაზაფხულის დაპირისპირებას განასახიერებენ. მათი თამაში სიმბოლურად აღნიშნავს ზამთრის დამარცხებას და გაზაფხულის გამარჯვებას. სწორედ ზამთარ-გაზაფხულის, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მონაცვლეობა-თამაში გახლავთ ქართული ბერიკაობა-ყეენობა. ეს ორი დღესასწაული ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია და საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ქართველი მეურნეს სამეურნეო-სარიტუალო განაწესის უმთავრეს საგაზაფხულო მოვლენას.

ნოვრუზი არა მხოლოდ ბუნების ციკლს უკავშირდება, არამედ შერიგებასა და ერთობასაც ემსახურება. ამ დღეს ადამიანები ერთმანეთს სტუმრობენ, პატიებას ითხოვენ, ოჯახის წევრები და მეზობლები ერთად აღნიშნავენ დღესასწაულს. ნოვრუზი სიყვარულის, მიტევების და ერთობის ტრადიციული გამოხატულებაა. ვფიქრობთ, ნოვრუზის უმთავრესი არსი სწორედ აღნიშნულ სოციალურ ურთიერთობებსა და მათ გამოხატვაშია. დღესასწაულის დროს მასობრივი მსვლელობები, სურსათ-სანოვაგის, ე.წ. "ხარკის" აკრეფა დამახასიათებელი იყო ბერიკაობა-ყეენობისათვისაც. ,,ხარკს ხშირად ქეიფის მოწყობას ახმარდნენ მთლიანად, ზოგჯერ კი ამ თანხას სხვა სამადლო საქმეებისათვისაც იყენებდნენ-ხელმოკლე ოჯახს ან ავადმყოფს ეხმარებოდნენ ან ვინმე ღარიბ გასათხოვარ ქალს მზითვს უმზადებდნენ (რუხაძე, 1966;13).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოვრუზის პერიოდში აზერბაიჯანის (საქართველოში მარნეულსა და გარდაბანში) სხვადასხვა რეგიონში ტარდებოდა მრავალფეროვანი თამაშები

და წარმოდგენები, მათ შორის - „Kosa-Kosa“ („ქოსა-ქოსა“), სადაც kosa (ქოსა - უბეწვო) წარმოადგენს ძველი წლისა და ზამთრის სახეს, ხოლო ახალგაზრდა თხა - გაზაფხულის სიმბოლოს; „Xan bəzəmə“ („ხან ბეზამე“), სადაც მკაცრ „ხანს“ სიცილითა და თამაშით წყალში აგდებენ, როგორც ზამთრის დამარცხების სიმბოლოს; აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თხას, უფრო კონკრეტულად, თხის ნიღაბს ფართო დატვირთვა აქვს ქართულ ბერიკაობაში.,, ბერიკა ცხვრის ან თხის ტყავს, იშვიათად კი ცხვრის გადმობრუნებულ ტყავკაბას იცვამდა, რომელსაც უკან საქონლის კუდი ჰქონდა გამობმული. მას სახეზე ნიღაბი ეფარა. ტომარასავით გაკერილ უხეშ შავ ნაბდის ნიღაბს თავზე ორი გრძელი ყური და თხის ორი რქა ჰქონდა დამაგრებული. მათ შუა ჩითის ნაჭრის თოჯინა-კუკი ესკუპა. ნიღბის წვერ-ულვაში თხის ბალნით ირთვებოდა და თვალების, ცხვირისა და კბილების გამოსაჩენად გამოჭრილი იყო. ქართლში ზოგან თხის ან ცხვრის გაუსუფთავებელი ტყავის მთლიანი და ნახევარნიღბები უხმარიათ, ზოგჯერ კი მათ მაგივრად თხის რქებს და თხის ან თხის თავის ქალასაც იყენებდნენ”(რუხაძე, 1966;6). აგრარულ დღესასწაულებში, რომლებიც ძირითადად გაზაფხულზე იმართებოდა, თხის ტყავები და რქები უძველესი დროიდან იყო ჩართული. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ მესოპოტამიური ღვთაება თამუზისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომლის მონაწილეც თხის ტყავებით და რქებით იყო წარმოდგენილი. ეთნოგრაფ ჯულიეტა რუხაძის დაკვირვებით, ,,აგრარულ დღესასწაულებში თხის გამოსახულების, შავი ნიღბის და შავი ფერის მონაწილეობა იმ კონცეფციის საფუძველზე უნდა აიხსნას, რომლის თანახმადაც მიწის განმასახიერებელი ღვთაება შავი ფერით იყო ცნობილი. ბერიკაობა-ყეენობის მთავარი პერსონაჟის - ბერიკას მიერ თხის გამომსახველი ნიღბის ტარება მიწის კულტთან იყო დაკავშირებული და მიწის უხვი მოსავლის მიღების საქმეს ემსახურებოდა… რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ უძველეს დროში თხასა და ცხვარს დიდი ნაყოფიერების ძალა მოეწერებოდათ. ამით იყო შეპირობებული თხისა და ცხვრის გამომსახველ პერსონაჟთა, მათი გამოსახულებისა და ტყავ-ბეწვის განსაკუთრებული როლი აგრარულ კულტებში”(რუხაძე, 1966;17). აღნიშნული დამოწმების მიხედვით, ლოგიკურად მიგვაჩნია ნოვრუზის თხისა და ქოსას ჭიდილი- თხა ნაყოფიერების სიმბოლოა, ქოსა კი, ხალხის რწმენით, უნაყოფო არსებაა, ამიტომ თხამ უნდა აჯობოს მას, რათა მომავალი სამეურნეო წელი უხვმოსავლიანი იყოს. ხანბეზამეს მსგავსად, ყაენის წყალში გადაგდება სცოდნიათ კახეთში. ,,მას წყლის დიდ ,,ნავში” ან წყლის გეჯაში აგდებდნენ, გვალვა არ იყოს, კაი მოსავალი მოვიდეს, სეტყვა მოგვშორდესო…დიდი სიცივეების დროს ყეენს წყალში არ ჩააგდებდნენ-“ავათ არ გახდეს და ცუდი მოსავალი არ მოგვიყვანოსო” (რუხაძე, 1966;13). ქართლში კი ნამიანი წლის დასაბედებლად ,,წყლის გუთნით მოხვნაც” სცოდნიათ. ბუნების გაღვიძებასთან ასოცირდება ბერიკას ან ყაენის ,,სიკვდილის” და შემდგომ წყლის პკურებით ,,გაცოცხლების” სცენაც, რომელსაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ბერიკაობა-ყეენობის ქმედებებში.

გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ასევე ცნობილია სხვადასხვა თამაშები Cıdır oyunu (ჯიდირის თამაში - საცხენოსნო თამაში); Sayaçı (საიაჩი) ან Təkəçi [11] (თექეჩი),

[11] Təkəçi - ახალგაზრდები ან მოზარდები თავზე ატარებენ მამალი თხის ელემენტებს და ჯგუფურად დადიან მეზობლებსა და ქუჩებში, თამაშის სახით და აგროვებენ სადღესასწაულო ნუგბარს.

Maraloyunu [12] (მარალის ცეკვა), Kilimarası [13] (ქილიმარასი), რომლებიც ყველა ბუნების გაღვიძებისა და სიცოცხლის განახლებასთანაა დაკავშირებული.

ტრადიციულ ხალხურ თამაშებიდან, რომელთა ანალოგები საქართველოში და აზერბაიჯანში გვხვდება და რომლებიც ტრადიციულად წლის სხვადასხვა დროს ტარდებოდა, აღსანიშნავია შემდეგი: Cıdır oyunu (ჯიდირის თამაში - საცხენოსნო თამაში) - ნოვრუზის დღესასწაულისა და სხვა სახალხო ზეიმების დროს ჩატარებული ერთ-ერთი საცხენოსნო თამაში, შეჯიბრია. ჯიდირის გავრცელება აზერბაიჯანში ცნობილი იყო უკვე „Kitabi-Dədə Qorqud-ის“ თქმულებებიდან („პაპა ქორქუთის წიგნი“), ასევე ნიზამი გენჯელის პოემიდან „Xosrov və Şirin-ის“ („ხოსროვი და შირინი“) და კლასიკური ლიტერატურის სხვა ნიმუშებიდანაც. საქართველოში ჯიდირის თამაშები ტარდება ბოლნისისა და დმანისის სოფლებში. ჯიდირის ჩატარების ადგილი და დღე წინასწარ განისაზღვრება. ცნობილი და გამორჩეული ახალგაზრდები ამ შეჯიბრისთვის სპეციალურად ემზადებიან და გაწვრთნილ ცხენებს ასპარეზობისთვის ამზადებენ. ვინც მონაწილეებს შორის მანძილს პირველად დაფარავს, ის გამარჯვებულად ითვლება და ტრადიციის მიხედვით მას xonça („ხონჩა“) (საჩუქრებითა და ტკბილეულებით სავსე სინი) გადაეცემა. გამარჯვებული ცხენის შუბლზე კვერცხს ამტვრევენ, კისერზე კი წითელი ფერის ქელაღაის ან ნაჭერს აბამენ. სხვა მონაწილეებსაც გადასცემენ გარკვეულ საჩუქრებს.[14]

ჯიდირის მიმდინარეობას ზურნის შემსრულებლები მონაწილეებს ამხნევებენ გუნდურად. ჩვეულებრივ, საასპარეზო მოედანი ისე ირჩევა, რომ ხალხმა შეძლოს მონაწილეთა ხილვა. ჯიდირი ფაქტობრივად ახალგაზრდების გამოცდის ველად იქცევა, სადაც გამოირჩევიან სწრაფი, მამაცი და ოსტატი მხედრები. ჯიდირი მხოლოდ გასართობი შეჯიბრი ან უბრალო ცხენოსნობა არ არის - მასში იგრძნობა რწმენის, თაყვანისცემისა და მაგიური-რიტუალური ელემენტების კვალიც.

Yumurta döyüşdürmək („კვერცხების შეჯახება”): ნოვრუზის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და პოპულარული თამაშია. მოხარშულ და შეღებილ კვერცხებს ერთმანეთს აჯახებენ და რომლის კვერცხიც არ გატყდება, ის ითვლება გამარჯვებულად.

Papaqatma oyunu (ქუდის გადაგდება): ეს არის კართან ქუდის დაგდების ტრადიცია, ქუდებს დებენ კართან და იმალებიან, სახლის პატრონები კი ქუდს ავსებენ სადღესასწაულო ნუგბარით (ტკბილეულით, ჩირით, შეღებილი კვერცხით და სხვა. მოგროვილ ნუგბარს ან მონაწილეები შეექცევიან, ან ურიგებენ გაჭირვებულებს[15]

---

[12] Maraloyunu - აერთიანებს სათამაშოებისა და თოჯინური თეატრის ელემენტებს და უფრო თეატრალურ ფორმას იღებს.

[13] Kilimarası- არის აზერბაიჯანული ეროვნული თეატრის სახეობა, მოედნის თეატრის ერთ-ერთი ჟანრი.

[14] ქართულ სინამდვილეში, განსაკუთრებით გურიაში ცხენბურთი ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციული თამაშია, რომელიც აერთიანებს სპორტულ შეჯიბრსა და სამხედრო-სტრატეგიულ ელემენტებს. მოთამაშეები ცდილობენ ბურთის დაჭერასა და მიზანში გატანას სწრაფი მანევრირებისა და გუნდური მოქმედების მეშვეობით. თამაში გამოირჩევა დინამიკურობით, სიმამაცითა და მაღალი კოორდინაციით, რაც ასახავს მოთამაშეთა მხედრულ კულტურასა და საბრძოლო უნარებს. ცხენბურთი არა მხოლოდ გართობის ფორმა, არამედ ისტორიულად ახალგაზრდების ფიზიკური მომზადებისა და ერთიანობის განმტკიცების საშუალებაც იყო.

[15] მსგავსი მსვლელობა ტარდება ალილოს დროს, რომელიც იესოს შობასთან არის დაკავშირებული, მორწმუნეები ორგანიზებულ მსვლელობაში მონაწილეობენ: ქუჩებში გალობენ საშობაო საგალობლებს და აგროვებენ სხვადასხვა

უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანლებისა და ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამ ორი ხალხის ტრადიციებზე, გასტონომიასა და ცხოვრების წესზე. მრავალი ქართული ტრადიცია შეითვისეს საქართველოს აზერბაიჯანლებმა, რაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და კულტურათაშორისი ურთიერთქმედების ბუნებრივი შედეგია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებების, სადღესასწაულო კულტურისა და სოციალურ ურთიერთობათა ნორმების გავლენა. მაგალითად, სტუმართმოყვარეობის ტრადიცია, სუფრის კულტურა და თამადის ინსტიტუტი, როგორც სოციალური ერთობისა და პატივისცემის გამოხატულება, ფართოდ არის გავრცელებული აზერბაიჯანულ თემებშიც.

ასევე აღსანიშნავია ქართული ენის ცოდნისა და გამოყენების ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რაც განათლების სისტემასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესს უკავშირდება. ზოგიერთ რეგიონში, სადაც ქართველები და აზერბაიჯანელები საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, შეიმჩნევა საერთო ფოლკლორული ელემენტები, მუსიკალური გავლენები და დღესასწაულების ერთობლივი აღნიშვნის პრაქტიკა.

ეს კულტურული გადაკვეთა ცხადყოფს, რომ საქართველოს მრავალეთნიკური სივრცე არ წარმოადგენს მხოლოდ პარალელურ თანაცხოვრებას, არამედ ურთიერთგამდიდრების პროცესს, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ინარჩუნებს საკუთარ იდენტობას და ამავე დროს იზიარებს საერთო სახელმწიფოებრივ და კულტურულ ფასეულობებს.

საქართველოს აზერბაიჯანულ თემებში ნოვრუზის აღნიშვნაში შეინიშნება გარკვეული ელემენტები, რომლებიც შინაარსობრივად ან ფორმით ემთხვევა ქართული ბერიკაობის ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ ნოვრუზი თავისი წარმოშობით ირანულ-ზოროასტრიულ კულტურულ სივრცეს ეკუთვნის და გაზაფხულის ბუნებრივ განახლებას უკავშირდება, საქართველოში მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში მასში გარკვეული ადგილობრივი ფოლკლორული ნიშნებიც ინტეგრირდა.

ბერიკაობა, როგორც ქართული ხალხური სანახაობრივი რიტუალი, გამოირჩევა ნიღბოსნობით, სახასიათო პერსონაჟებით, სიმბოლური გარდასახვებითა და თეატრალიზებული ქმედებებით, რომლებიც ხშირად განახლებასა და ნაყოფიერებას უკავშირდება. სწორედ ეს სანახაობრივი, კარნავალური და კოლექტიური ელემენტები იკვეთება ნოვრუზის აღნიშვნის დროს ზოგიერთ ადგილას, რაც უცხოა იმ რეგიონებში, სადაც აზერბაიჯანლებს ქართველ ეთნოსთან ნაკლები კონტაქტი აქვთ. კერძოდ:

- ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული სახალისო წარმოდგენები და იმპროვიზებული სცენები,
- სიმბოლური პერსონაჟების გამოჩენა (გაზაფხულის, სიკეთის, ნაყოფიერების თემატიკით),

---

სახის შესაწირავს: საკვებს, ტკბილეულს, ტანსაცმელსა და ფულად დახმარებას. შეგროვილი ნივთები შემდეგ გადაეცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ბავშვთა სახლებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებს. ამ ტრადიციას აქვს როგორც რელიგიური, ასევე სოციალური მნიშვნელობა, რადგან იგი გამოხატავს ქველმოქმედებას, თანადგომასა და საერთო სიხარულს ქრისტეს შობის აღნიშვნისას.

- მუსიკით, ცეკვითა და მასობრივი ჩართულობით გამორჩეული ქუჩის ზეიმი,
- ზოგ შემთხვევაში სახის დაფარვა ან როლური გარდასახვა.

ეს მსგავსებები არ ნიშნავს, რომ ნოვრუზი ბერიკაობის პირდაპირი გაგრძელებაა, არამედ მიუთითებს კულტურულ სინთეზსა და ფოლკლორულ ურთიერთგავლენაზე. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ადგილობრივ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, ინარჩუნებენ ნოვრუზის ძირითად სიმბოლურ შინაარსს (ცეცხლი, განახლება, ბუნების გაღვიძება), თუმცა ზეიმის ფორმაში შეიძლება აისახოს ქართული კარნავალური ტრადიციის გავლენაც. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რიტუალების გავლენა ადგილობრივ აზერბაიჯანელებზე ნოვრუზის აღნიშვნის დროს დასტურდება კახეთში (საგარეჯო), ბოლნისში და გარდაბანში, ანუ ძირითადად იმ რაიონებში, სადაც აზერბაიჯანულ ეთნოსთან ქართული სუბსტრატი უფრო მეტადაა წარმოდგენილი. ნოვრუზის აღნიშვნის დროს მონაწილეები დგამენ იმპროვიზებულ წარმოდგენებს, სახეს იფარავენ სხვადასხვა ნიღბით და ,,აშინებენ" სხვებს.

ასევე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ქართული ბერიკაობისა და აზერბაიჯანული ნოვრუზის ქმედებებს შორის მსგავსების საფუძველი უფრო სიღრმეში, თავდაპირველ, ისტორიულ ფესვებშიც ვეძიოთ, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბერიკაობა მსგავსებას ძველაღმოსავლურ სარიტუალო ქმედებებთან პოულობს, რაც სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია ნოვრუზის რიტუალებისათვისაც.

დასკვნა

ნოვრუზისა და ბერიკაობის ურთიერთმიმართების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტრადიციები არ ფუნქციონირებდნენ იზოლირებულად, არამედ ფორმირდებოდნენ კულტურული კონტაქტისა და ორი ხალხის თანაცხოვრების პირობებში. ნოვრუზი, როგორც გაზაფხულის ბუნებრივი ციკლისა და განახლების სიმბოლური დღესასწაული, რეგიონულ კონტექსტში ინტეგრირდა იმ ადგილობრივ რიტუალურ პრაქტიკებთან, რომლებიც უკვე არსებობდა ქართველთა ტრადიციულ კულტურაში. ამ მხრივ, ბერიკაობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან რიტუალურ სისტემას, რომლის გავლენაც გამოიკვეთა ნოვრუზის აღნიშვნის ფორმებსა და სიმბოლურ სტრუქტურაში.

ბერიკაობისთვის დამახასიათებელი ნიღბოსნობა, პერსონაჟთა ინსცენირება, ქორწინებისა და ნაყოფიერების სიმბოლიკა, ასევე სოციალური ინვერსიისა და კარნავალური ელემენტები, გარკვეულწილად აისახა ნოვრუზის ადგილობრივ ინტერპრეტაციებში. კერძოდ, გაზაფხულის, ნაყოფიერებისა და განახლების იდეათა რიტუალიზაცია, ასევე საზოგადოებრივი ერთიანობის დემონსტრირება, ორივე ტრადიციისთვის საერთოა. ამგვარად, ბერიკაობამ, როგორც უფრო არქაული აგრარულ-რიტუალური კომპლექსის ნაწილმა, ხელი შეუწყო ნოვრუზის შინაარსობრივ ადაპტაციასა და მის ინტეგრაციას ქართულ კულტურულ გარემოში. ამის დამადასტურებელია საქართველოში მაცხოვრებელი აზერბაიჯანლების მიერ აღნიშნულ ნოვრუზში ბერიკაობის ელემენტების გამოყენება (მაგალითად, კახეთში,

ბოლნისში, გარდაბანში მცხოვრები აზერბაიჯანელები ნოვრუზის აღნიშვნის დროს იმოსებიან ,,ურჩხულის"ფორმით და ხალხს აშინებენ, ანთებენ კოცონს და მის გაშემო ასრულებენ რიტუალურ როკვას, აგროვებენ შესაწირს და სხვა).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნოვრუზის რეგიონული ფორმები არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ იმპორტს, არამედ მათში ასახულია ადგილობრივი რიტუალური მემკვიდრეობის, მათ შორის ბერიკაობის, სტრუქტურული და სიმბოლური გავლენა. აღნიშნული ურთიერთქმედება ადასტურებს კულტურული სინთეზისა და ტრადიციათა ტრანსფორმაციის პროცესის სიღრმეს, რაც დამახასიათებელია მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ისტორიული სივრცისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარბაქაძე ქ., გოგოლაძე თ., (2025). ბერიკაობა-ყეენობის შესწავლის ისტორიიდან, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია.

გელოვანი, ნ. (2021) თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917). თბილისი: სტამბა „კოლორი".

გუჯეჯიანი რ., (2021). ქართული ხალხური საკარნავალო რიტუალები თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის II (28).

ეთნოსები საქართველოში,(2008) თბილისი.

მგელაძე ნ,. ტუნაძე თ., ჯულიეტა რუხაზე ქართული ხალხური დღესასწაულების შესახებ და ყეენობა-ბერიკაობის სამხრეთ-დასავლური ქართული ვარიაციები

ცოცხალაშვილი მ., (2021) ყეენობა თბილისში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის II (28).

რუხაძე ჯ., (1966). ქართული ხალხური დღესასწაული, თბილისი.

რუხაძე ჯ., (1999). ბუნების ძალთა აღძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, ბერიკაობა-ყეენობა, თბილისი.

Əliyev, H. (2005). *Azərbaycanın xalq bayramları*. Bakı: Elm.

Rzayev, T. (2010). *Novruz bayramı: tarixi və mədəni mənası*. Bakı: Nurlan.

Ismayilov, F. (2012). *Azərbaycan etnoqrafiyası və folkloru*. Bakı: Təhsil.

Rashidov, M. (2008). *Xalq mərasimləri və təqvim bayramları*. Bakı: Şərq-Qərb.

Huseynova, G. (2014). *Çərşənbələr və Novruz ritualları*. Bakı: Maarif.

Mammadova, S. (2009). *Azərbaycan folklorunda rəmzlər və simvollar*. Bakı: Elm və Təhsil.

Aliyev, H. (2013). *Novruz bayramı və milli mədəniyyət*. Bakı: Nurlan.

Heydar Aliyev. (2001). Dövlət nitqləri. Bakı: Azərbaycan Dövlət Nəşriyyatı.

REFEFRENCES

barbakadze k., gogoladze t., (2025). berik'aoba-qeenobis shests'avlis ist'oriidan, ist'oria, arkeologia, etnograpia.

gelovani, n. (2021) tbilisis muslimuri temi (1801-1917). tbilisi: st'amba „k'olori".

gujejiani r., (2021). kartuli khalkhuri sak'arnavalo rit'ualebi turketis resp'ublik'is etnik'ur kartvelta shoris, masalebi sakartvelos etnograpiisatvis II (28).

etnosebi sakartveloshi,(2008) tbilisi.

mgeladze n,. t'unadze t., juliet'a rukhaze kartuli khalkhuri dghesasts'aulebis shesakheb da qeenoba-berik'aobis samkhret-dasavluri kartuli variatsiebi

tsotskhalashvili m., (2021) qeenoba tbilisshi, masalebi sakartvelos etnograpiisatvis II (28).

rukhadze j., (1966). kartuli khalkhuri dghesasts'auli, tbilisi.

rukhadze j., (1999). bunebis dzalta aghodzinebis khalkhuri dghesasts'auli sakartveloshi, berik'aoba-qeenoba, tbilisi.

Əliyev, H. (2005). *Azərbaycanın xalq bayramları*. Bakı: Elm.

Rzayev, T. (2010). *Novruz bayramı: tarixi və mədəni mənası*. Bakı: Nurlan.

Ismayilov, F. (2012). *Azərbaycan etnoqrafiyası və folkloru*. Bakı: Təhsil.

Rashidov, M. (2008). *Xalq mərasimləri və təqvim bayramları*. Bakı: Şərq-Qərb.

Huseynova, G. (2014). *Çərşənbələr və Novruz ritualları*. Bakı: Maarif.

Mammadova, S. (2009). *Azərbaycan folklorunda rəmzlər və simvollar*. Bakı: Elm və Təhsil.

Aliyev, H. (2013). *Novruz bayramı və milli mədəniyyət*. Bakı: Nurlan.

Heydar Aliyev. (2001). Dövlət nitqləri. Bakı: Azərbaycan Dövlət Nəşriyyatı.